503/4-1/21 2 25012021

503/4-1/21
25-01-2021

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს

როგორც მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს ფარგლებში განხორციელდა თემატური მოკვლევა „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“. თემატური მოკვლევის ჯგუფმა შეიმუშავა ანგარიში, რომელიც გამოქვეყნდა 2019 წელს. ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები კონკრეტული უწყებების მიმართ. აღნიშნული ანგარიშით გათვალისწინებული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით, საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, გთხოვთ, წარმოგვიდგინოთ შემდეგი ინფორმაცია:

მოკვლევის ფარგლებში გამოჩნდა, რომ თავად ქალების ჯგუფში არსებობენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფები: კერძოდ, დევნილი და ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები. აღნიშნულ ჯგუფთან დაკავშირებით შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად შესაძლებლობის ფარგლებში გაზრდილ იქნა თუ არა პროგრამის ბიუჯეტები. გთხოვთ, ამავდროულად მოგვაწოდოთ მოცემულის შესახებ კონკრეტული მონაცემები.

დანართი: „სახელმწიფო ეკონომიკურ პროგრამებში ქალთა მონაწილეობის შესახებ“ თემატური მოკვლევის ანგარიში - 66 (სამოცდაექვსი) გვერდი.

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ნინო წილოსანი